ეროვნული ბიბლიოთეკა





გუშინ თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს საუწყებო პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობაში.

• • •

სურათებზე: 100 მეტრზე რბენაში მოასპარეზე ვაჟები ფინიშთან; ქალთა შორის ბირთვის კვრაში გამარჯვებული გ. ბერაია („ბურევესტნიკი“).

მ. ზარგარიანის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 186 (5216)

1974 წ. 19 სექტემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საპატიო წოდებათა მინიჭება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულებით ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის მიენიჭათ საპატიო წოდება:**

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის:**

**ავალიანს შოთა სიმონის ძეს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 1 კოლონის უფროსს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის:**

**აგაპოვს ისაკ ისაკის ძეს** — „საქგეოლოგიის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბრიგადირს.

**გაფრინდაშვილს გუგული პოლიკარპეს ძეს** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველოს ქიათურის სამონტაჟო უბნის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირს.

**გაფრინდაშვილს მიხეილ პოლიკარპეს ძეს** — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამმართველოს ქიათურის სამონტაჟო უბნის მემონტაჟეს.

**ლომიძეს ვაჟა დავითის ძეს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 90 მექანიზებული კოლონის ელექტრომემონტაჟეს.

**ნაბახტაველს ვასილ გლახოს ძეს** — ამიერკავკასიის სატრანსპორტო-სამშენებლო ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კალატოზს.

**როსტიაშვილს გურამ სოლომონის ძეს** — „საქგეოლოგიის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს შემდუღებელს.

**ტომილინს მიხეილ ივანეს ძეს** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის სამონტაჟო უბნის შემდუღებელს.

**შალუტაშვილს აბესალომ მიხეილის ძეს** — ტრესტ „კომუნრემმშენის“ ბორჯომის სარემონტო სამშენებლო უბნის სამუშაოთა მწარმოებელს.

**ჯანაევს ვლადიმერ არტემის ძეს** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ სამმართველოს ავტომანქანის შოფერს.

**საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის:**

**ქანტურიას ვლადიმერ ერმილეს ძეს** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო უბნის უფროსს.

# დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 სექტემბრის ბრძანებულებით ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

**აკოფოვი გრიგოლ არტემის ძე** — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი.

**ბაქრაძე ვალერი გივის ძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

**ბოკუჩავა გიორგი ერასტის ძე** — „საქმთავარენერგოს“ უფროსის ყოფილი მოადგილე, ამჟამად პენსიონერი.

**გელაშვილი უშანგი ნიკოლოზის ძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

**კარკალაია იოსებ სპირიდონის ძე** — „იუგენერგოჩერმეტის“ თბილისის სამონტაჟო უბნის უფროსი.

**კასრაძე გელა იურის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ტექმეთვალყურეობის ჯგუფის უფროსი.

**მახარაძე ვახტანგ ივანეს ძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი.

**მღებრიშვილი მერაბ ნიკოლოზის ძე** — საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

**რევაზიშვილი ვაჟა ივანეს ძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

**სანაძე ლევან გიორგის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

**სარალიძე გრიგოლ გრიგოლის ძე** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ ლითონკონსტრუქციების ქარხნის დირექტორი.

**სიამაშვილი ომარ ბორისის ძე** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე.

**სმირნოვი ვიტალი გიორგის ძე** — ბაკურიანში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის მესამე სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

**ტყეშელაშვილი ბადრი აგაბოს ძე** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 1 მექანიზებული კოლონის ელექტროშემდუღებელი.

**ქავთარაძე სიმონ მიხეილის ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

**ყარყარაშვილი არჩილ ვასილის ძე** — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

**ჭელაგანიძე შოთა ივანეს ძე** — საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი.

**ხაჩიძე გოდერძი პავლეს ძე** — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ № 90 მექანიზებული კოლონის ელექტრომემონტაჟე.

**ჯაფარიძე ზურაბ ბესარიონის ძე** — გაზეთ „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე.

**ჯორჯიკია ნოდარ კონსტანტინეს ძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი.

## საპატიო სიგელით

ბაკურიანში გამართულ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში გაწეული დიდი მუშაობისთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გაზეთ „ლელოს“ რედაქცია **საპატიო სიგელით** დააჯილდოვა.

## პირველი მატჩი — 3:3

კვებეკი, 17 სექტემბერი. დღეს აქ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის პროფესიული ლიგის მოთამაშეთაგან შემდგარი კანადის ნაკრებისა და სსრ კავშირის ეროვნული გუნდის შეხვედრათა ახალი სერიის პირველმა მატჩმა. მასპინძლები წაგებას გადაარჩინა სახელგანთქმულმა ბ. ჰალმა, რომელმაც ძესაძე შაიბა საბჭოთა ნაკრების კარში დასკვნითი პერიოდის მე-15 წუთზე გაიტანა. თამაში ფრედ დამთავრდა — 3:3 (1:0, 1:3, 1:0).

ანგარიში პირველი პერიოდის ნიწურულს ჯ. მაკეიზიმ გახსნა. მეორე პერიოდში ვ. ლუტჩენკომ ცისფერი ხაზიდან აიღო მასპინძელთა კარი, მაგრამ მალე ჰალმა კარგად გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა და თავისი გუნდი დააწინაურა.

მაგრამ აი, მოედნიდან გააძევეს კანადელი მცველი და ვ. ხარლამოვმა ანგარიში გაათანაბრა, მერე კი ვ. პეტროვმა გამოიჩინა თავი...

ბრწყინვალედ ითამაშეს მეკარეებმა ჯ. ჩივერსმა და ვ. ტრეტიაკმა, რომლებმაც ბევრი უძნელესი ტყორცნა მოიგერიეს.

მატჩის მთავარი მსაჯი იყო ი. კომპალა (გფრ).

## ფრენბურთელთა ზონალური...

გრძელდება საქართველოს VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ზონალური შეჯიბრებები ფრენბურთში.

გთავაზობთ 22 სექტემბრის თამაშების კალენდარს:

ვაჟები: დუშეთი — თეთრი წყარო, ბორჯომი — მცხეთა, გორი — გარდაბანი, თელავი — გურჯაანი, წყალტუბო — ვანი, ცხაკაია — ცაგერი, სამტრედია — ჩხოროწყუ, ზესტაფონი — მახარაძე.

ქალები: ლაგოდეხი — თეთრი წყარო, თელავი — გარდაბანი, წყალტუბო — მახარაძე, სამტრედია — ცაგერი, წალენჯიხა — ჩოხატაური.

თამაშები გაიმართება პირველად დასახელებულ მეტოქეთა მოედნებზე, ხოლო 29 სექტემბერს ეს გუნდები ხელმეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

თამაში ყველგან 16 საათზე იწყება.

## საბჭოთა მფრინავებმა ყველას აჯობეს

უმაღლეს პილოტაჟში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა ტრადიციული შეჯიბრება საბჭოთა მფრინავების დამაჯერებელი გამარჯვებით აღინიშნა — მათ I ადგილი დაიკავეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. ახლახან დამთავრებული ეს ტურნირი უნგრეთის ქალაქ ბეკეშჩაბის აეროკლუბის აეროდრომზე გაიმართა და მასპინძელი ქვეყნის გათავისუფლების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში გდრ-ის, სსრ კავშირის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის 30 მფრინავი მონაწილეობდა. მათ ფიგურების უმაღლესი პილოტაჟის ოთხი სავალდებულო და ორი ნებისმიერი კომპლექსი უნდა შეესრულებინათ. 30 საპრიზო ადგილიდან იაკ-18 ამ თვითმფრინავებით მოასპარეზე საბჭოთა სპორტსმენებმა 27 მოიგეს.

აბსოლუტურ პირველობაში გაიმარჯვეს ასტრახანელმა ვ. ლეცკომ და ტულელმა ლ. ლეონოვამ. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ მოსკოველი ს. კრუგლიკოვი და კალინინელი ლ. მახორტოვა. ბრინჯაოს მედალი ვოროშილოვგრადელ ლ. მოჩალინას ერგო.

საქპრეს-ინფორმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაშია საქმე, სოფლის სპორტსმენებო?

სარატოვის ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში რსფსრ-ის წარმომადგენლის, სამბოში მსოფლიო ჩემპიონ ა. ხაპაის მიერ დაშვებულმა ალამმა სოფლის II საკავშირო სპორტული თამაშების დამთავრება გვაუწყა.

ვოლგისპირა ქალაქის სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში გამართულ ცხარე ბრძოლებში მთავარი გუნდური თასი, ისევე როგორც პირველ თამაშებში, რუსეთის ფედერაციის „უროჟაიმ“ მოიპოვა. II ადგილისთვის განკუთვნილი ჯილდოც მისმა ძველმა მფლობელმა — უკრაინის „კოლოსმა“ წაიღო. აი, III საპრიზო ადგილს კი ახალი პატრონი გამოუჩნდა. საქართველოს „კოლმეურნემ“ სოფლის I საკავშირო თამაშებში წვითა და დაგვით მოპოვებული III ადგილი ბელორუსიის „უროჟაის“ „გადაულოცა“. ამ უკანასკნელმა ზედ ფინიშის ზღურბლზე — შეჯიბრების ბოლო დღეს გამოგლიჯა ეს ადგილი ესტონეთის „იიუდს“.

ჩვენს „კოლმეურნეს“ არც IV ადგილი ერგო, არც — V... მან IX ადგილი დაიკავა. ასე უხეიროდ ჯერ არც ერთ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადაში არ გამოვსულვართ (სპარტაკიადები თამაშების წინამორბედი იყო).

გავიხსენოთ „კოლმეურნის“ მიღწევები სოფლის სპორტსმენთა საკავშირო სპარტაკიადებში. მისი მაჩვენებლები ოთხ სპარტაკიადაში შესაბამისად ასეთი იყო: VI, V, V, III ადგილები. შემდეგ ისევ III ადგილი პირველ თამაშებში...

სარატოვში სოფლის სპორტსმენები 12 სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტყვიის სროლასა და სამბოს, რომლებიც პირველად შეიტანეს თამაშების პროგრამაში, ჩვენმა დელეგაციამ ყველა სახეობაში უკან დაიხია (მხოლოდ შაშში „შევინარჩუნეთ“ XIII ადგილი). აი, ამ რეგრესის ნიმუშებიც: თავისუფალი ჭიდაობა (ჯერ ნაჩვენებია პირველი თამაშების შედეგები) — I, II, კლასიკური ჭიდაობა — I, VII, ხელბურთი — II, VI, ცხენოსნობა — II, VIII, ფრენბურთი: ვაჟები — I, IX, ქალები — VIII, II, ჭადრაკი — VI, X, ძალოსნობა — VIII, XI, მძლეოსნობა—VII, VIII, ველოსპორტი — VIII, XIII.

ვერც მიიღო პირველობაში მოპოვებული წარმატებით დაგვეტრაბახებოთ. თამაშებში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი სულ სამჯერ აჟღერდა: ჩემპიონები გახდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენელი „კლასიკოსი“ გ. წიკლაური (82 კგ), თავისუფალი სტილის მოჭიდავე, წითელწყაროელი თ. ყაჭაშვილი (74 კგ) და მცხეთელი ტყვიის მსროლელი ა. შამეკო.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები — მცხეთელი მ. ჩხაიძე და ცხინვალელი ა. ცხოვრებოვი, აგრეთვე, გარდაბნელი მძლეოსანი ს. არტემიევი (400 მ — 48,9).

III ადგილები მოიპოვეს მძლეოსნებმა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა ზ. თათეოსიანმა (ჭოკი — 490 სმ) და თელაველმა ზ. ალხანაიძემ (სიგრძეზე ხტომა — 718 სმ), სამბისტმა ბ. მეშველიანმა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან, თბილისელმა ძალოსანმა ა. ხურმანიძემ (ატლეტი — 110 კგ), თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა — ქობულეთელმა მ. შონიამ (57 კგ) და სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ბუზიაშვილმა (82 კგ).

აი, ეს არის და ეს.

რა მოხდა, რაშია საქმე, სად ვეძიოთ მარცხის მიზეზები?

— მარცხის მიზეზი ბევრია, — გვითხრა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა. — მთელი უბედურება ის გახლავთ, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სათანადოდ არ ეფისებს სპორტს. ეს პირველ ყოვლისა ეხება ზაქვერის, გურჯაანის, საგარეჯოს რაიონებს. იქ არაფერი კეთდება სპორტული ცხოვრების გამოცოცხლებისთვის. ცუდად მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებიც. მაგალითად, რესპუბლიკაში ასეთი ტიპის 31 სასწავლებელია, სარატოვში კი მხოლოდ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე ბექურ მეშველიანი ასპარეზობდა.

პირდაპირ სავალალო მდგომარეობაა სპორტული მოედნებისა და დარბაზების მხრივ. ასე თუ გაგრძელდა, წარმატების იმედი მომავალშიც არ უნდა გვქონდეს.

[illegible] ბავშვთა და [illegible] სპორტსკოლების [illegible] „კოლმეურნე“ საქართველოს პროფსაბჭოს დაუქვემდებარეს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმეს ეშველება.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა სარატოვში ზოგიერთი ჩვენი სპორტსმენის გამოსვლაზე. ძალოსანი ასლან ოსანაძე სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონია. მისი იმედი სარატოვშიც გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაგვაწბილა — გუნდს ქულაფერი არგო.

გუნადი გიორგაძე პირველი მსოფლიო ჩემპიონია სამბოში. თავდაპირველად იგი სარატოვშიც კარგად გამოდიოდა: ხელიხელ ოთხი მეხვედრი რამდენიმე წამში დაასრულა, მაგრამ მეხუთე შერკინება მარცხით აღმოჩნდა. მან სათანადოდ ვერ შეაფასა მეტოქე და დაისაჯა კიდეც. საბოლოოდ გიორგაძე IV ადგილზე დარჩა.

ჩვენს გუნდს ვერც ორად ორმა (!) მძლეოსანმა ქალმა არგო. საერთოდ, ქალთა სპორტში ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. ყოველივე ამან, ცხადია, საერთო კომპლექსურ ჩათვლაზე იმოქმედა. ჩვენმა პრეზიდიუმმა განიხილა სარატოვის მწარე გაკვეთილები და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სათანადო ამოცანები დასახა.

ა. გურასაშვილი.



# პირველი ჩემპიონი

მოტობურთი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი. საქართველოს დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა გუნდის უკეთ მომზადების მიზნით ამას წინათ რესპუბლიკის პირველი ჩემპიონატი ჩაატარა. შეჯიბრებაში სოხუმის, ქუთაისის, თელავის, ბოლნისისა და თბილისის კოლექტივები მონაწილეობდნენ.

თავდაპირველად წინასწარი შეხვედრები გაიმართა. ქუთაისელებმა, როგორც შინ (2:0), ისე სტუმრად (3:1) დაამარცხეს სოხუმელები და ნახევარფინალში გავიდნენ. მეორე ნახევარფინალისტი გამოავლინა ბოლნისისა და თელავის გუნდების შეხვედრებმა. ორივეჯერ თელაველებმა იმარჯვეს — 4:0 და 1:0.

ფინალის საგზურისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის „მეტეორი“ და თელავის „ბურანი“. ძირითადი დრო ფრედ (1:1) დამთავრდა. დაინიშნა 5-5 თერთმეტმეტრიანი დარტყმა. აქ კი ქუთაისელებმა იმარჯვეს.

ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „მეტეორი“ და თბილისის „ივერია“. ეს შეხვედრაც ფრედ (1:1) დამთავრდა, ხოლო 5-5 თერთმეტმეტრიანი თბილისელებმა უკეთესად დაარტყეს და საქართველოს პირველი ჩემპიონის სახელიც დაისაკუთრეს.

„ივერიას“ (მ. მინდიაშვილი, ი. ტურაშვილი, თ. მაზანიშვილი, ჰ. ეფიმენკო, ვ. ხუციშვილი, თ. ჩიკვაიძე, ს. ხუციშვილი, მწვრთნელი ნ. შონია) საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თასი გადაეცა.

ხ. ხაჩიძე.

* * *

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი — თბილისის „ივერია“.

ხ. ვართანიანცის ფოტო.

## სპორტული ონი

ჩატარდა რაიონის VI საზაფხულო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 8 სახეობა შედიოდა. შეჯიბრებაში 25 ფიზკულტურული კოლექტივის 530 ფიზკულტურელი მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ჩორდის მარიტის მაღაროთა სამშართველოს ნაკრებმა. II ადგილზეა სოფელ წედისის კოლმეურნეობის კოლექტივი, ხოლო III — გასული სპარტაკიადის თასის მფლობელი — სამკერვალო ფაბრიკის გუნდი.

სპორტსაზოგადოებებს შორის საუკეთესო იყო „განთიადის“ კოლექტივი. II ადგილზეა „კოლმეურნე“, III „სპარტაკი“.

* * *

ქალაქის სტადიონზე „კოლმეურნის“ რაიონული თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ონის „კოლმეურნისა“ და სორის ფეხბურთელთა გუნდები. თასი წილად ხვდათ „კოლმეურნის“ ფეხბურთელებს.

* * *

კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები. სპორტული ბაზის გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ მოეწყო შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. გაიმარჯვეს განთიადელებმა.

იმავე დღეს სპორტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის რაიონის სპორტკომიტეტის საპატიო სიგელები გადაეცათ ბ. და ვ. ჯაფარიძეებს და ი. ჯანჯღავაშვილს.

ნ. დუმბაძე.

# წესი ყველასთვის წესია,

### ანუ ამბავი იმაზე, თუ როგორ წაართვეს ოქროს მედალი თემურ ხუბულურს

ასეთი რამ სპორტში არ უნდა ხდებოდეს, მით უმეტეს, რომ საქმე ჯერ კიდევ დაუღვინებელ ახალგაზრდობასთან გვაქვს.

ახალგაზრდა ძიუდოისტთა I მსოფლიო ჩემპიონატმა რიო-დე-ჟანეიროში 28 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. მასპინძლებმა ცდა არ დააკლეს, რათა ტურნირი ყოველმხრივ სამაგალითო ყოფილიყო, მართლაც, მონაწილენი დიდებულ სასტუმროში ცხოვრობდნენ, ასპარეზობა მოეწყო „ჟილბერტუ კარდოზუს“ პოპულარულ დარბაზში, რომელსაც სპორტული სამყარო „მარაკანაზინიოს“ სახელით იცნობს („პატარა მარაკანა“ მსოფლიოში ყველაზე დიდი საფეხბურთო სტადიონის გვერდითაა და ჩვენი პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს სპორტის სასახლედ ითვლება), მაყურებლები გულთბილად ხვდებოდნენ სტუმრებს და შერკინებების პერიპეტიებს სწორად აღიქვამდნენ. ერთი სიტყვით, „მარაკანაზინიოში“ ნამდვილი საქმიანი, სპორტული ატმოსფერო სუფევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძიუდოს ამ კარგ ზეიმს ზოგიერთი მსაჯის აშკარა არაობიექტურობამ ავტორიტეტი დაუკარგა.

...წესი ძიუდოშიც და სპორტის სხვა სახეობებშიც წესია და მას უცვლელად ყველა უნდა დაემორჩილოს. არამც და არამც არ შეიძლება მონაწილეთა თვითნებური დაყოფა, არ შეიძლება სიმკაცრის გამოყენება სპორტსმენთა ერთი ჯგუფის მიმართ, ვინაიდან დისკრიმინაცია მუდამ მიკერძოების მიზეზი ხდება.

მძიმეწონოსანთა ტურნირში, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის ღირსებას იცავდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თემურ ხუბულური, რომელმაც ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. თავისთავად ეს ჯილდო სპორტსმენის დიდ შესაძლებლობებს მოწმობს. ამიტომაც თემურის გამოსვლით უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ არც მისი მუდმივი მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი და არც სსრ კავშირის ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელები. მაგრამ თემური უფრო მაღალი ადგილის ღირსი იყო და ეს ადგილი მას, სამწუხაროდ, არაობიექტურმა მსაჯობამ წაართვა.

თ. ხუბულურმა ბრწყინვალედ დაიწყო ჩემპიონატი, პირველი მეტოქე — არგენტინელი ა. ხოარიო 47 წამში დაამარცხა. შემდეგი მისი მოწინააღმდეგე გფრ-ის წარმომადგენელი კ. ოილბერგი იყო. ქართველმა ძიუდოისტმა ამ შეხვედრაშიც გამოავლინა მაღალი კლასი და იმდენი ქულა აართვა გერმანელ ათლეტს, რომ სამ-ოთხ გამარჯვებას გაუწევდებოდა თამამად.

...შერკინების დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა არბიტრმა სრულიად მოულოდნელად შეაჩერა შეხვედრა და გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია... გერმანელს. დარბაზი მოულოდნელობისგან გაშრა. დაიბნენ გვერდითი მსაჯებიც და საპელაციო ჟიურის წევრებიც. ჯერ ყველას ეგონა, მსაჯს, უბრალოდ, მონაწილენი აერია ერთმანეთში. მერე, როცა უფროსი მსაჯი ჩაერია საქმეში, არბიტრმა კატეგორიულად განაცხადა: ხუბულურმა ლეიბს გადააბიჯა და ამისთვის წაგებას ვუთვლიო.

საკვირველი გადაწყვეტილებაა! ვინ მოთვლის, რამდენმა მონაწილემ მექანიკურად დაარღვია ეს წესი, მაგრამ არც ერთ მსაჯს აზრადაც არ მოსვლია თუნდაც გაფრთხილება მიეცა მათთვის. რა საჭირო იყო ასეთი ფორმალური სიმკაცრე, პედანტიზმი? იქნებ ზოგიერთ არბიტრს ხელს არ აძლევდა საბჭოთა სპორტსმენის გამარჯვება?

ამ ამბავში ისიცაა საინტერესო, რომ უსამართლო გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა მაყურებლებმა დიდხანს არ მისცეს ორგანიზატორებს შეჯიბრების გაგრძელების საშუალება. დარბაზი ხუთი წუთის განმავლობაში პირდაპირ ზანზარებდა სტვენისა და ფეხების ბაკუნისგან. დაუმსახურებელ გამარჯვებაზე უარის თქმა დააპირა თვით გერმანელმა სპორტსმენმაც, მაგრამ ოფიციალური პროტესტი გფრ-ის გუნდის ხელმძღვანელობამ არ შეიტანა იმის გამო, რომ შემდგომში მსაჯების შურისძიებისა შეეშინდა.

ასეა თუ ისე, არბიტრმა თავისი გაიტანა და თემური იძულებული გახდა მხოლოდ ბრინჯაოს ჯილდოსთვის ებრძოლა. ეს ამოცანა მან ბრწყინვალედ შეასრულა (წმინდად სძლია ავსტრიელ გ. ჰუბერს), მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება შეუძლებელი იყო.

* * *

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონი ქვემძიმე წონაში გახდა ჩელიაბინსკელი ათლეტი ვ. ბეთანოვი. დანარჩენ წონებში გაიმარჯვეს: ა. ვებერმ (საფრანგეთი), კ. აკიმოტომ, კ. იჩიომ, ი. ოხიოკომ (სამივე — იაპონია).

„ლელოს“ მიმომხილველი.

## სპორტული ზნაური

დიდი ინტერესი გამოიწვია რაიონის პირად-გუნდურმა პირველობამ ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ავნევის, ზნაურის, თერეგვანისა და თიღვის კოლმეურნეობების სპორტსმენები. გუნდური პირველობა ზნაურის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი ხვდათ ავნეველებს, III — თიღვის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს.

პირად შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვეს: ა. ჭანტურიძემ (თიღვა), ა. გობოზოვმა, ა. დილებაშვილმა (ორივე — ზნაური), ი. კაპანაძემ, ტ. ბეველაშვილმა (ორივე — ავნევი), ჩ. და ზ. გობოზოვებმა (ორივე — ზნაური).

* * *

რაიონის კულტურის სახლში დამთავრდა რაიონის მოჭადრაკეთა პირველობა. ჩემპიონის სახელი დაიმსახურა ზნაურის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანმა ი. სანაკოევმა. II ადგილზეა ზნაურის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ოსიტაშვილი, III თერეგვნის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ლ. ხუციშვილი.

* * *

ჩატარდა რაიონის პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში 5 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი ზნაურის პირველ ნაკრებს ხვდა, II — ზნაურის მეორე გუნდს, III — თიღვის კოლმეურნეობის გუნდს.

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.

# ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

## [illegible]

17 სექტემბერს ვოროშილოვგრადში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ „ზარიასა" და ალმა-ათის „ქაირათს" შორის. მასპინძლებმა შეძლეს მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვება — 1:0. გოლი გაიტანა სტულჩინმა.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის

### უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ." (კ.) | 22 | 11 | 9 | 2 | 34—12 | 31 |
| „ტორპედო" | 22 | 10 | 6 | 6 | 28—20 | 26 |
| „ჩერნომ." | 22 | 9 | 8 | 5 | 30—24 | 26 |
| „სპარტაკი" | 22 | 9 | 8 | 5 | 22—18 | 26 |
| „დინ." (მ.) | 22 | 8 | 9 | 5 | 32—21 | 25 |
| „ზენიტი" | 22 | 6 | 13 | 3 | 26—27 | 25 |
| „შახტიორი" | 22 | 7 | 10 | 5 | 25—22 | 24 |
| „დნეპრი" | 22 | 7 | 8 | 7 | 18—23 | 22 |
| „არარატი" | 21 | 7 | 7 | 7 | 21—18 | 21 |
| „ქაირათი" | 21 | 6 | 8 | 7 | 29—26 | 20 |
| „ფახთაქორი" | 21 | 6 | 7 | 8 | 32—34 | 19 |
| ცსკა | 22 | 5 | 8 | 9 | 23—28 | 18 |
| „დინ." (თბ.) | 22 | 4 | 10 | 8 | 16—27 | 18 |
| „ზარია" | 22 | 5 | 7 | 10 | 23—35 | 17 |
| „კარპატი" | 19 | 3 | 9 | 7 | 16—20 | 15 |
| „ნისტრუ" | 22 | 3 | 7 | 12 | 26—43 | 13 |

დუბლიორთა შემადგენლობანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ" (კ.) | 22 | 14 | 6 | 2 | 36—13 | 34 |
| „დინ." (მ.) | 22 | 13 | 6 | 3 | 46—21 | 32 |
| „ზენიტი" | 22 | 11 | 5 | 6 | 39—30 | 27 |
| „ქაირათი" | 20 | 10 | 6 | 4 | 28—19 | 26 |
| „სპარტაკი" | 22 | 11 | 4 | 7 | 27—21 | 26 |
| „ტორპედო" | 22 | 8 | 9 | 5 | 27—17 | 25 |
| „შახტიორი" | 22 | 10 | 4 | 8 | 30—19 | 24 |
| „ჩერნომ." | 22 | 9 | 5 | 8 | 45—37 | 23 |
| ცსკა | 22 | 6 | 7 | 9 | 34—32 | 19 |
| „არარატი" | 21 | 5 | 9 | 7 | 22—27 | 19 |
| „ფახთაქ." | 21 | 6 | 7 | 8 | 29—35 | 19 |
| „ნისტრუ" | 22 | 6 | 5 | 11 | 36—50 | 17 |
| „დინ." (თბ.) | 22 | 5 | 7 | 10 | 25—39 | 17 |
| „კარპატი" | 19 | 5 | 4 | 10 | 15—28 | 14 |
| „დნეპრი" | 22 | 2 | 10 | 10 | 16—37 | 14 |
| „ზარია" | 21 | 1 | 6 | 14 | 11—43 | 8 |

### I ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ." | 29 | 16 | 6 | 7 | 53—26 | 38 |
| „დინამო" | 29 | 16 | 6 | 7 | 41—28 | 38 |
| ასკ | 30 | 14 | 9 | 7 | 43—27 | 37 |
| „კრ. სოვ." | 29 | 15 | 6 | 8 | 47—30 | 36 |
| „ნეფთჩი" | 23 | 14 | 6 | 7 | 35—21 | 36 |
| „ტავრია" | 29 | 15 | 4 | 10 | 55—38 | 34 |
| „კუზბასი" | 29 | 15 | 4 | 10 | 38—35 | 34 |
| „ტორპედო" | 29 | 11 | 9 | 9 | 28—31 | 31 |
| „სპარტაკი" (ნალჩ.) | 30 | 9 | 12 | 9 | 26—28 | 30 |
| „შინნიკი" | 29 | 9 | 10 | 10 | 37—38 | 28 |
| „მეტალურგი" (ზაპ.) | 29 | 10 | 8 | 11 | 31—35 | 28 |
| „ურალმაში" | 30 | 10 | 8 | 12 | 30—38 | 28 |
| „სპარტაკი" (ორჯ.) | 30 | 12 | 4 | 14 | 33—47 | 28 |
| „ზვეზდა" | 29 | 10 | 7 | 12 | 39—47 | 27 |
| „სპარტაკი" (ივ.-ფრ.) | 30 | 6 | 13 | 11 | 28—34 | 25 |
| „პამირი" | 27 | 7 | 10 | 10 | 33—32 | 24 |
| „მეტალურგი" (ლიპ.) | 29 | 7 | 9 | 13 | 28—37 | 23 |
| „ყუბანი" | 30 | 7 | 9 | 14 | 43—58 | 23 |
| „სტროიტ." | 29 | 7 | 8 | 14 | 27—39 | 22 |
| „ტექსტილ." | 29 | 4 | 6 | 19 | 26—52 | 14 |

## [illegible]-74

● ზაპოროჟიე, 17 სექტემბერი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში, რომელსაც „იუნოსტი" ჰქვია, დაიწყო ხელბურთელ ქალთა გუნდების მეორე ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება სატელქო გაზეთ „კომსომოლეც ზაპოროჟიას" პრიზზე. ეს ტურნირი 1975 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თავისებური რეპეტიციაა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იუგოსლავიის კოლექტივები, სსრ კავშირის ახალგაზრდული და პირველი ნაკრები გუნდები. პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ისა და ბულგარეთის ხელბურთელები. გაიმარჯვეს გერმანელებმა — 21:5. იუგოსლავიის ეროვნულმა გუნდმა ანგარიშით 12:10 დაამარცხა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები. გამარჯვებულთა შორის თავი გამოიჩინა მ. ლუკიჩმა, რომელმაც მეტოქის კარში ექვსი ბურთი გაიტანა.

● ტომსკი, 17 სექტემბერი. მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის თასს ზედიზედ მეორე წელია დაეუფლა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ომსკელი სტუდენტი გ. შუგუროვა. ახლა სპორტსმენები ჯგუფურ ვარჯიშებში გაითამაშებენ ქვეყნის ჩემპიონი გუნდის წოდებას.

## კომბინატის ავტოდრომზე

დოსაალის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა ამას წინათ ენგურქაღალდკომბინატის ავტოდრომზე ქალაქის პირად-გუნდური პირველობა ჩაატარა საავტომობილო მრავალჭიდში. შეჯიბრებაში 12 გუნდის 36 სპორტსმენი მონაწილეობდა.

მსუბუქი მანქანების მრავალჭიდში საერთო გუნდური გამარჯვება ქალაქის ავტოტექმომსახურების სადგურის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

სატვირთო მანქანების მრავალჭიდში ყველას აჯობეს № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენლებმა.

პირად პირველობაში მსუბუქი მანქანების მრავალჭიდში ჩემპიონი გახდა დ. ჯოჯუა (ავტოტექმომსახურების სადგური).

სატვირთო მანქანების მრავალჭიდში ყველას აჯობა ჟ. ქავთარაძემ (№ 1 ავტოსატრანსპორტო საწარმო).

ასპარეზობაში მონაწილე 36 შოფერიდან III თანრიგის ნორმატივი რვა კაცმა შეასრულა.

ზ. ალშიბაია,
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## ახალი სასროლეთი

ცხაკაიას ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა დოსაალის რაიონულ კომიტეტთან ერთად ჩაატარა პირად-გუნდური ჩემპიონატი მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ასპარეზობას ხაიშის ქსოვილების ფაბრიკის დახურული სასროლეთი მასპინძლობდა. ეს ბაზა ამას წინათ ჩადგა მწყობრში და ერთადერთია რაიონში.

გუნდური პირველობა მასპინძლებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, III — ცხაკაიას სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ნაკრები.

პირად ჩათვლაში ქალთა შორის იმარჯვა ახალსენაკელმა მ. ეჯიბიამ. II ადგილზეა მ. გაბრავა (ხაიშის ქსოვილების ფაბრიკა), III — ა. ბოჯგუა (ზანის კოლმეურნეობა).

ვაჟებში ყველაზე კარგად ისროლა ცხაკაიას პურ-პროდუქტების ბაზის თანამშრომელმა ბ. მხეიძემ. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ხაიშის ქსოვილების ფაბრიკის დირექტორი ქ. ფიჩხუა და ამ ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი ი. ნარმანია.

შეჯიბრება თვითნებურად მიატოვეს ფოცხოსა და უშაფათის კოლმეურნეობების, ტეხურის, ჭალადიდისა და გეჯეთის საბჭოთა მეურნეობების, ცხაკაიას სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს გუნდებმა.

ე. გუგუნავა,
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

## [illegible]

### ჭიათურა

განათლების განყოფილებამ ჩაატარა მასობრივი კროსი. ვაჟებთა შორის 1000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა ხიდიხევის საშუალო სკოლის მოსწავლე მ. ჯაფარიძემ. 500 მეტრზე გოგონათა რბენაში გაიმარჯვა რუსული საშუალო სკოლის მოსწავლე ქ. პეტრიძემ. კროსში სულ 2000-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა.

ზ. ბატიაშვილი.



## სპორტი გამოჯანმრთელებაში გვეხმარება

გამოჩენილი იტალიელი ფიზიოლოგის ა. მოსოს სიტყვით, „ფიზიკურ აღზრდას შეუძლია შეცვალოს ბევრი წამალი, მაგრამ ქვეყანაზე ვერც ერთი წამალი ვერ შეცვლის ფიზიკურ ვარჯიშს", სწორედ ამიტომ აბასთუმნის სანატორიუმ „ზეკარში" სამედიცინო მკურნალობის პარალელურად სპორტსაც (ფიზკულტურის მეთოდისტი ო. ჯაფარიძე) სათანადო ყურადღება ექცევა. დამსვენებლები ხალისით ასრულებენ დილის გამაჯანსაღებელ ვარჯიშს, სამკურნალო ფიზკულტურის მოთხოვნებს, მონაწილეობენ შეჯიბრებებში...

ამას წინათ მოეწყო პირველობები ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. მოჭადრაკეთა ტურნირში ყველას აჯობა სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ო. მაისაშვილმა, რომელიც უკონკურსოდ მონაწილეობდა. მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში პირველობა ამ სტრიქონების ავტორს ხვდა.

ჭადრაკის, შაშისა და მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულები ახლა აბასთუმნის 7 სანატორიუმის პირველობებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან.

ს. ჯანჯღავა,
პირველთანრიგოსანი სპორტსმენი.

* * *

სურათზე: სანატორიუმ „ზეკარის" დამსვენებლები ჭადრაკის თამაშის დროს.

ავტორის ფოტო.

## ვახტანგ ქარსელაძის მემორიალზე

სოხუმი, 18 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აფხაზეთის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლში გრძელდება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი III საკავშირო ტურნირი. გათამაშდა კიდევ სამი (VII, VIII და IX) ტური.

VII ტურში წარუმატებლად ითამაშეს თბილისელმა მოჭადრაკეებმა ზ. მიქაძემ და ა. ბოკუჩავამ, რომლებიც დამარცხდნენ შესაბამისად ს. როზენბერგთან (მოსკოვი) და ბ. კატალიმოვთან (ალმა-ათა). მ. ცეიტლინმა (მოსკოვი) სძლია ალმაათელ ვ. ვლადიმიროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ დ. ჯანოევი (თბილისი) — ე. უხმანი (ლენინგრადი) და ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — მ. მუხინი (ალმა-ათა); ორი პარტია გადაიდო.

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა VIII ტურში, რომელშიც მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. ი. ჩიქოვანმა (თბილისი) მოუგო ბოკუჩავას, უხმანმა — ჯ. ბერაძეს (წყალტუბო), ხოლო ვლადიმიროვ — კატალიმოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ოთხი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

IX ტურში კვლავ დამარცხდა ბერაძე, ამჯერად — მუხინთან. ბოკუჩავამ მოუგო ვლადიმიროვს. ოთხი პარტია გადაიდო, ხოლო ცეიტლინ — გ. ზაიჩიკის (თბილისი) პარტია არ შედგა მოსკოველი ოსტატის ავადმყოფობის გამო.

გადადებული პარტიების დამთავრება დღეს გაიმართება.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ კატალიმოვი — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია და მუხინი — 5 (2).

რ. კაკიაშვილი,
მემორიალის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

## სიხარულის ცრემლები

ყოველდღე დავდიოდით საავადმყოფოში მეგობრის სანახავად.

ჩვენი გამოჩენა ახარებდა, თან წუხდა — რატომ ირჯებითო!

მეგობარს ვუქარწყლებდით ავადმყოფობას, ვამხნევებდით, ვარწმუნებდით, რომ სულ მალე განიკურნებოდა.

— მოხვედით? რას იტყვით ახალს, რით გამახარებთ? — შესვლისთანავე შეგვეკითხებოდა და დასუსტებულ, ჩაცვივნულ თვალებს მოგვაპყრობდა.

— ლამაზი, კომბინაციური ხტილით მოიგო!

— ერთი ქულაა აკლია!

— შეუცდომლად ითამაშა!

— მწვავე ტაქტიკური გართულებებით შეავიწროვა მეტოქე და ენდშპილში ზუსტი სვლებით აიძულა ფარხმალი დაეყარა!

ვუკვეთებდით ინფორმაციას...

სასთუმალში ჩამქრალი მეგობარი გულდასმით გვისმენდა და შემდეგ თავისას იტყოდა:



— ეჭვი არ მეპარებოდა მის გამარჯვებაში. ის დღესაც მოიგებს პარტიას და ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს. დამიჯერეთ, ასე მოხდება, დიახ, ფინალშიც ტოლს არავის დაუდებს...

ჩვენი ხათნო მეგობარი ლაპარაკით დაიღალა, მაგრამ მაინც შემოგვჩივლა:

— გაგიგონიათ ასეთი რამე? ყველაფერი ამიკრძალეს. ჭადრაკი დამიმალეს, რადიოს ნუ მოუსმენ, გაზეთს ნუ წაიკითხავო! ერთი გამარჩევინა მისი პარტია...

... გვიან ღამით, რადიომ გვაუწყა თუ არა, რომ კიევში, ნახევარფინალში ნანა ალექსანდრიამ I ადგილი დაიკავა, უახლოეს მეტოქეს ქულით გაუსწრო და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, მაშინვე საავადმყოფოსკენ გავეშურეთ, ფეხაკრეფით შევედით პალატაში...

— ძინავს?

— სსს, ძლივს ჩაეძინა, არ გააღვიძოთ, — გაგვაფრთხილა მისმა მეუღლემ.

— ნანამ გაიმარჯვა!

ავადმყოფი შეტოკდა. თვალები გაახილა, წამოიწია, თითქოს ადგომას აპირებსო და აღტაცებულმა წარმოთქვა:

— გმადლობთ, ბიჭებო! ძალიან გამახარეთ, — ვახტანგ ქარსელაძეს ცრემლები დაედინა გაფითრებულ, დამჭკნარ ლოყებზე. — რომ იცოდეთ, რა ნიჭიერი გოგონაა ნანა. იგი მალე, ერთ თვეში ჩემპიონიც გახდება, მსოფლიოს მოჭადრაკე ქალებშიც ერთ-ერთი უძლიერესის სახელსაც მოიხვეჭს...

ვახტანგ ქარსელაძე გარდაიცვალა. მისი სურვილი, ოცნება და სიტყვები გამართლდა: ნანა ალექსანდრიამ სამჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა, ახლაც წინ მიიწევს...

მადლიერი თაობები სათუთი სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით გაიხსენებენ ერისა და სამშობლოს მოჭირნახულე ადამიანებს და მათ შორის სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვახტანგ ქარსელაძეს.

გიორგი პაპიაშვილი.

* * *

სურათზე: ვახტანგ ქარსელაძე და ნანა ალექსანდრია ჭადრაკის დაფასთან.

## წერილი რედაქციას

### სად ვაზიაროთ ბავშვები ჭადრაკს?

ვისაც ჭადრაკის სიბრძნის მნიშვნელობა ესმის, სურს თავისი შვილი ამ თამაშს აზიაროს. მაგრამ ზესტაფონელები ასეთ შესაძლებლობას მოკლებული ვართ. ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში მოჭადრაკეებს ჰქონდათ ოთახი, სადაც თამაშსაც ასწავლიდნენ. ახლა ეს ოთახი სათამაშოების საწყობად გადააქციეს.

მივმართე ზესტაფონის რაიონის სპორტსკოლის დირექტორს ა. კვესიტაძესაც, მან მითხრა, სპორტსკოლაში ჭადრაკს არ ასწავლიანო.

მართალია, რაიონის განათლების განყოფილებაში დამპირდნენ ჭადრაკის სწავლებას მოვაგვარებთო, მაგრამ მათ სათანადო პირობები არა აქვთ.

ჩანს, ყოველივე ეს ზესტაფონის რაიონის თავკაცებმა არც იციან. გთხოვთ, შუამდგომლობა გაგვიწიოთ: იქნებ სპორტსკოლასთან ჭადრაკის შემსწავლელი ერთი ჯგუფი მაინც გაიხსნას.

რ. კოსიძენკო.

სად. შორაპანი,
ზესტაფონის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ოლიმპიური ცხოვრებიდან

## ჩვენს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში სულ უფრო ფართოდ ვითარდება სპორტის ათასნაირი სახეობა. მაგალითად, ამ სურათებზე ჩვენთვის უჩვეულო შეჯიბრებების მომენტებია აღბეჭდილი.

მარცხენა სურათზე კუბაში ბეისბოლის სეზონის გახსნის მომენტს ხედავთ. ამ წმინდა ამერიკულმა სპორტმა თავისუფლების კუნძულზე მტკიცედ მოიკიდა ფეხი და მოკლე ხანში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა გახდა.

ნიჩბოსანთა ასეთი რეგატა, როგორსაც მარჯვენა სურათზე ხედავთ, 1965 წლამდე ტრადიციული იყო ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იმ წელიწადს კი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიამ შეწყვიტა ეს საინტერესო ტრადიცია. მაგრამ აი, დამთავრდა ომი და სპორტმა კვლავ საპატიო ადგილი დაიკავა გმირი ხალხის ცხოვრებაში. ფოტოზე აღბეჭდილი რეგატა 8 წლის „შესვენების“ შემდეგ პირველად ჩატარდა მდინარე კენ გიანგზე (კუანგ ბინკის პროვინცია).

პრენსა ლატინასა და ცაფ-ის ფოტოები.

## მეექვსე ცდა და ზოგიერთი გართულება

წელს 100 წელი უსრულდება ინგლისელი უინგფილდის დიდებულ გამოგონებას — ჩოგბურთს. ამ თარიღს ჯეროვნად აღნიშნავენ მთელს მსოფლიოში, ყველგან, სადაც კი იციან პატარა ბურთის, ბადისა და ჩოგნის ყადრი.

მსოფლიო ჩოგბურთის იუბილე თავისებურად აღნიშნეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა: მათ შესანიშნავი საჩუქარი უბოძეს ამ საინტერესო თამაშის მილიონობით საბჭოთა გულშემატკივრებს. სამამულო ჩოგბურთის მოწინავე ჯგუფი, რომელიც თავმოყრილია საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში, 20 სექტემბერს გენერალურ ბრძოლას დაიწყებს ყველაზე პოპულარული პრიზის — დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალურ საზონათშორისო მატჩში ინდოეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ.

ეს მართლაც საბჭოთა ჩოგბურთის დიდი გამარჯვებაა ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოს გუნდური პირველობისთვის ბრძოლაში სსრ კავშირის ნაკრები ასე ღრმად არასდროს შეჭრილა. დევისის თასის მოპოვების პირველი ცდა საბჭოთა ჩოგბურთელებმა 1962 წელს წამოიწყეს. ხუთჯერ სცადეს მათ ბედი ამ პოპულარულ ტურნირში, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გასცდნენ ევროპის ერთ-ერთი ზონის ფინალს.

მეექვსე ცდა, როგორც ხედავთ, გაცილებით იღბლიანი გამოდგა. ნუ დავაბრალებთ ყველაფერს იღბალს — ჩვენები მას არასოდეს გაუთამამებია. უფრო სწორი იქნება, თუ წარმატებას ამ მეექვსე ცდაში საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის უცილობელი ზრდით ავხსნით. მაღალი კლასი, დახვეწილი ოსტატობა სპორტში გამოცდილების შედეგად მოდის. ბოლო წლებში საბჭოთა ჩოგბურთელებმა და მათ შორის საუკეთესოებმა — ალექსანდრე მეტრეველმა და თეიმურაზ კაკულიამ ბევრი რამ ისწავლეს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელი შეაჩვიეს უცხოელებთან ბრძოლას.

საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, ინგლისის, აშშ-ს, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების კორტებზე მოპოვებულმა წარმატებებმა საბჭოთა ჩოგბურთი მსოფლიო სტანდარტებს გაუთანაბრა. ამ სასიხარულო თვისობრივმა გარდაქმნამ თავისი ნაყოფი გამოიღო: საბჭოთა ნაკრებმა ჯერ თავის ზონაში აჯობა ყველას, მერე ევროპული ზონების ფინალში და აი, იგი საზონათშორისო ნახევარფინალშია!

დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში რამდენიმე სენსაციის გამოყოფა შეიძლება. ერთ-ერთი მათგანია ავსტრალიელთა, მეორე კი — ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა მარცხი. ნახევარფინალები ჩატარდება მთავარი ფავორიტების გარეშე. ეს კარგიცაა, მაგრამ, ამავე დროს დამაფიქრებელიც.

ნახევარფინალისტთა ერთი წყვილის შესახებ ჩვენ ყველაფერი ვიცით. ორი გუნდის შეხვედრაში გამარჯვებული (ლაპარაკია ინდოეთისა და სსრ კავშირის კოლექტივებზე) გავა ფინალში, სადაც მეორე წყვილში გამარჯვებულს დაელოდება.

აი, სწორედ აქ დაუშვა მიუტევებელი შეცდომა ჩოგბურთის საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც, შესაძლოა დიდ კონფლიქტში გადაიზარდოს და ტურნირის ჩაშლის მიზეზიც კი გახდეს.

მეორე ნახევარფინალის ერთი მონაწილის — იტალიის მიმართ არავის აქვს პრეტენზია. საერთო აღშფოთებას იწვევს მისი პარტნიორის ვინაობა. ეს პარტნიორია რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომელიც წლების მანძილზე სავსებით სამართლიანადაა ბოიკოტირებული მთელი ცივილიზებული სპორტული სამყაროს მიერ.

მაინც რა უნდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ამ ტურნირში? ჩანს, მას ქომაგები მაინც ჰყავს, მით უმეტეს, რომ ბევრს არც კი ეგონა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები მთავარ ნახევარფინალამდე მიაღწევდა. ახლა კი, როცა ჩოგბურთის სამყარო უსიამოვნო ფაქტის წინაშე დადგა, გამოირკვა, რომ მასთან საქმის დაჭერას არც ერთი მეტოქე არ აპირებს.

იტალიის საზოგადოებრიობას ურჩევნია, რომ თავისი გუნდი უბრძოლველად გამოეთიშოს ტურნირს. ასეთივე პოზიცია უკავიათ, ცხადია, საბჭოთა და ინდოელ ჩოგბურთელებსაც. აი, როგორ შეიძლება გაღვივდეს კონფლიქტი ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯის შედეგად.

ჯერჯერობით კი საჩოგბურთო სამყაროს მთელი ყურადღება მახარაშტრის შტატის (ინდოეთი) ქალაქ პუნას კორტებისკენაა მიპყრობილი, რომელმაც უნდა დაასახელოს დევისის თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ფინალისტი.

— ჩვენს კორტებზე, და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ჩვენს ზომიერ კლიმატურ პირობებში საბჭოთა ნაკრებს გამარჯვების უკეთესი შანსი ექნებოდა, — ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში თქვა სსრ კავშირის ნაკრების ლიდერმა ა. მეტრეველმა. ინდოეთის სამხრეთის მცხუნვარე მზე ერთგვარად ათანაბრებს მეტოქეთა შანსებს. მე ოთხჯერ ვიყავი ინდოეთში და ვიცი რა ძნელია იქ თამაში. და მაინც მჯერა, რომ წარმატება ჩვენ დაგვრჩება.

დაახლოებით იგივე აზრისაა საბჭოთა ნაკრების მეორე ჩოგანი თ. კაკულია.

ინდოეთის გუნდი ძლიერი მეტოქეა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დევისის თასის მრავალგზის მფლობელს ავსტრალიის ნაკრებს სწორედ მან გადაუღობა გზა.

ნ. ახვლედიანი.

## არამ ხანგულიანი

ის ჩოგბურთის უსაზღვრო სიყვარულმა მიიყვანა აგურისფერ კორტებზე, მთელი თავისი ცხოვრება სპორტის ამ სახეობას დაუკავშირა და არ არსებობდა არავითარი ძალა, რომელიც საყვარელ საქმეს ჩამოაშორებდა. მას, თუ შეიძლება ითქვას, იმთავითვე არაპრაქტიკული ბუნება დაჰყვა. იმდენად იყო ჩაფლული საჩოგბურთო საქმეებში, რომ ხშირად ყოველდღიური ცხოვრებისეული წვრილმანები ავიწყდებოდა. ადამიანები, რომლებიც არამ ხანგულიანს ახლოს იცნობდნენ, გაცვიფრებული იყვნენ ჩოგბურთისადმი მისი ფანატიკური ერთგულებით და მეტსახელად „ადამიან-ტენისს“ ეძახდნენ.



ის თვითონ იყო ჩოგბურთის ცოცხალი ენციკლოპედია, ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთი უპირველესი ფუძემდებელი და მეაკვნე. დიახ, მეაკვნე, ვინაიდან სპორტის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებთან ერთად ხანგულიანსაც ხვდა პატივი მდგარიყო ქართული ჩოგბურთის აკვანთან, შეხვედროდა მის პირველ გარიჟრაჟს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, აკანკალებული ხელებით 78 წლის კაფანდარა, თმებდათოვლილი ადამიანი სიყვარულით გვიჩვენებდა თავის სპორტულ ალბომს. ბევრი საინტერესო მოვლენა შემოინახა ამ ალბომმა. დროისგან ფერგადასული ფოტოსურათებიდან გვიცქერიან საქართველოს პირველი ჩოგბურთელები, რომლებიც 1916 წელს ჩამოყალიბებულ „ტენის-კლუბში“ იყვნენ გაერთიანებული. მათ შორისაა არამ ხანგულიანიც. ჭაბუკი, რომელმაც მერე თითქმის ექვსი ათეული წელი უნდა ზიდოს ჩოგბურთის მოღვაწის ძნელი ჰაპანი.

ბევრი თვალსაჩინო ფაქტი და მოვლენა ამშვენებს არამ ხანგულიანის მრავალწლოვან სპორტულ ბიოგრაფიას. ოციან წლებში იგი წარმატებით გამოდიოდა საკავშირო შეჯიბრებებში.

1923 წელს კი ერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა სპორტსმენმა სამწვრთნელო ასპარეზი აირჩია. რატომ? იმ პერიოდში მძაფრი „დეფიციტი“ იყო მწვრთნელებზე და თითოეული კვალიფიციური სპეციალისტი ოქროდ ფასობდა. მაშინ თბილისში თითო-ოროლა საჩოგბურთო კორტს თუ ნახავდით, და მაინც, მონდომებამ, ენერგიამ, გამომგონებლობამ და საქმისადმი ჭეშმარიტად შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ ყველა დაბრკოლება გადალახა. უკვე 1936 წელს ხანგულიანის მოწაფემ ნ. ხელაიამ ნორჩ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირში I ადგილი დაიკავა. ეს იყო ქართული ჩოგბურთის პირველი ულორტი, რომელმაც მომდევნო წლებში უფრო და უფრო იხარა.

ვ. ურაევსკი, გ. კოკაია, რ. თაქთაქიშვილი, გ. კაპანაძე, მ. ბაქრაძე, ნ. თუხარელი, ძმები მძინარიშვილები, რ. აბუანდაძე... ჭეშმარიტად ჩინებულ ჩოგბურთელთა რაზმი გახლავთ, რომლებიც ჩვენს ჩოგბურთს გამოუზარდა ხელოვანმა მწვრთნელმა.

არა, ჩვენ არ გამოგვრჩენია მისი აღზრდილი, მსოფლიო ჩოგბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ა. მეტრეველი, რომელსაც არამ ხანგულიანი თავისი „ოცნების ჩოგბურთელს“ ეძახდა. მარტო მეტრეველის აღზრდა გაუთქვამდა საქვეყნოდ სახელს ამაგდარ მწვრთნელსა და პედაგოგს...

ნუ იფიქრებთ, თითქოს ხანგულიანი მხოლოდ ნიჭიერი ჩოგბურთელების აღზრდით იყო შემოფარგლული. სულაც არა. საქმეც ისაა, რომ ეს დაუზარელი ადამიანი თავის ზღვა ენერგიას ახმარდა საჩოგბურთო ცხოვრების ნებისმიერ სფეროს: იქნებოდა ეს ახალი კორტების აგება, ნაკრები გუნდების მომზადება, ახალგაზრდობის მორალური აღზრდა, თუ სხვა რამ. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონის მშენებლობაც. არამ ხანგულიანი გახლდათ ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთი თაოსანი, ქომაგი და პატრონი. იქნებ ამიტომაც იყო, რომ ღამის გათენიიდან გვიანღამემდე თავის მეუღლესთან, ჩოგბურთის თვალსაჩინო მოღვაწესთან ევგენია ვერმიშევასთან ერთად საჩოგბურთო სტადიონს წუთითაც ვერ ელეოდა ღვაწლმოსილი ადამიანი.

ხალხი არასდროს ცდება. ჯერ სიცოცხლეშივე მიუზღო თავისი ჩოგბურთის გამოჩენილ მოღვაწეს — არამ ხანგულიანი თითქმის ყველანაირი სპორტული წოდების მფლობელი იყო: სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, „საპატიო დინამოელი“...

**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია.**
**„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.**

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### გაძლიერების მიუხედავად

შარშანდელ სეზონში წარუმატებლობის შემდეგ მარსელის „ოლიმპიკი“ შესამჩნევად გააძლიერეს. თუნდაც რად ღირს მის რიგებში ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველ პაულო ცეზარ ლიმას ჩარიცხვა. გუნდს ახლა უხელმძღვანელებს ბრაზილიელი სპეციალისტი კ. კუტინიო, რომლის განცხადების თანახმადაც მარსელელები წლევანდელ სეზონში ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ.

მაგრამ ჯერჯერობით რაიმე შესამჩნევი ძვრები „ოლიმპიკის“ თამაშში არ ჩანს. განსაკუთრებით შეაშფოთა გულშემატკივრები დამარცხებამ პარიზში (1:4), სადაც „ოლიმპიკმა“ წააგო „პარი-სენ-ჟერმენთან“, რომელსაც ჟ. ფონტენი წვრთნის.

### მაგნუსონის იმედით

„სკანდინავიის მეტეორად“ წოდებულმა რ. მაგნუსონმა კარგა ხანია გაწყვიტა კავშირი შვეციის ნაკრებთან და ევროპის ქვეყნებში შეუდგა ხეტიალს. ცნობილი მარჯვენა გარემარბი ჯერ ტურინის „იუვენტუსში“ თამაშობდა, შემდეგ — მარსელის „ოლიმპიკში“, ბოლოს კი საფრანგეთის II ლიგაში — პარიზის „რედ სტარის“ შემადგენლობაში.

ის რომ, „რედ სტარი“ წლეულს საფრანგეთის I ლიგაში გადავიდა, სპეციალისტებს მაგნუსონის დამსახურებად მიაჩნიათ.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

საქართველოს სპორტკომიტეტი, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო და ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის ოსტატი

**ალექსი შოთას ძე ქელდიშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი — 19, 20, 21 სექტემბერს, 19 ს. გამოსვენება 22 სექტემბერს, 4 ს. — 5 დეკემბრის ქუჩა, II ჩიხი №36.

ИНДЕКС 66443 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02829